

სულხან - საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის დებულების 10.2 ქვეპუნქტის მიხედვით, რექტორის ინიცირების შესაბამისად, დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ პროექტი.

აკადემიური საბჭო

აკადემიური საბჭო შედგება რექტორის წარდგინების საფუძველზე, საბაუნის თითოეული ფაკულტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალიდან პარტნიორთა კრების მიერ, 3 წლის ვადით შერჩეული თითო წევრისაგან. პარტნიორთა კრების მიერ შერჩეული წევრების გარდა, აკადემიურ საბჭოში თანამდებობრივად შედიან უნივერსიტეტის რექტორი, ფაკულტეტის დეკანი, პრორექტორი, კანცლერი და ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი. ასევე, აკადემიურ საბჭოში ერთი წლის ვადით შედის თითოეული ფაკულტეტიდან წარმოდგენილი თითო სტუდენტი, რომელსაც შეარჩევს ფაკულტეტის საბჭო თავისი შემადგენლობიდან.

ადმინისტრაციული საბჭო

1. ადმინისტრაციული საბჭო ამ დებულებით დადგენილი ფარგლებში ახორციელებს თავის უფლებამოსილებას.
2. ადმინისტრაციული საბჭოს ფუნქციაა თითოეული სტრუქტურული ერთეულის საქმიანობასთან დაკავშირებული მიმდინარე კვირის საკითხების განხილვა და განხორციელებული საქმიანობის ანგარიშის მომზადება.
3. ადმინისტრაციული საბჭოს შემადგენლობაში შედის ყველა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი. საბჭოს სხდომას ხელმძღვანელობს რექტორი მისი არყოფნის შემთხვევაში საბჭოს სხდომას თავმჯდომარეობს პრორექტორი. სხდომის მდივანი აირჩევა საბჭოს სხდომაზე ხმათა უმრავლესობით.

ფაკულტეტის საბჭო

1. ფაკულტეტის საბჭო ფაკულტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა, რომლის შემადგენლობაში შედის ფაკულტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალი სრულად, ასევე ფაკულტეტის საბჭოში ერთი წლის ვადით შედის ფაკულტეტის თითოეული საგანმანათლებლო პროგრამიდან თითო სტუდენტი, რომელიც აირჩევა ღია კონკურსის წესით.
2. ღია კონკურსის მოიცავს: ფაკულტეტის საბჭოსთან კანდიდატების გასაუბრებას . კონკურსის არსებობის შემთხვევაში კანდიდატები შეირჩევიან შემდეგი კრიტერიუმებით: მოტივაცია;
ფაკულტეტის საქმიანობის სამომავლო ხედვა ;
საუნივერსიტეტო ცხოვრებაში ჩართულობა;
კანდიდატის არჩევის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა ხმის უმრავლესობით, კანდიდატის დასწრების გარეშე.
ფაკულტეტის საბჭო გადაწყვეტილება უნარიანია თუ მის სხდომას ესწრება 3 წევრი მაინც.